საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2023 წლის იანვარი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2023 წლის იანვრის თვეში.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №17

2023 წლის 16 იანვარს საქართველოს მთავრობის დადგენილება №17-ით დამტკიცდა დასაქმების ხელშეწყობის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამა, შემდეგი ქვეპროგრამების სახით:

1. „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების ქვეპროგრამა“ (დანართი №1).
2. „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამა“ (დანართი №2).
3. „საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა“ (დანართი №3).

ზემოაღნიშნული პროგრამის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 190020010.10.003.023840

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2023 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №14

2023 წლის 16 იანვარს ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის №171 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ და დამტკიცდა ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფები, დანართის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული დანართის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040030000.10.003.023848

დადგენილება ამოქმედდა 2023 წლის 1 თებერვლიდან.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილება №1

2023 წლის 20 იანვარს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს №46 დადგენილებით „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი 20-ით დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესში“ შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებებები, კერძოდ, „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი; საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტით დამტკიცებული დანართები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010210060.74.086.016046

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება მის ამოქმედებამდე უკვე განაწილებულ საქმეებზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №33

2023 წლის 24 იანვარს საქართველოს მთავრობის დადგენილება №33-ით საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 39-ე მუხლისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულებისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა:

ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულებისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობა ჯამურად არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარით.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 270000000.10.003.023866

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2023 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №42

2023 წლის 30 იანვარს საქართველოს მთავრობის №42 დადგენილებით დამტკიცდა თანდართული „საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის პროგრამა“.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 430020000.10.003.023875

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2023 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №455

2023 წლის 30 იანვარს საქართველოს მთავრობის №40 დადგენილებით „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის №455 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ინსტრუქციის მე-2 მუხლი (ამ ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა); მე-5 მუხლი (ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელი შემოსავლების სამსახურს წარუდგენს წერილობით განცხადებას, რომლის წარდგენა, წარმოებაში მიღება და განხილვა ხორციელდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 240090000.10.003.023873

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდება 2023 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №886

2023 წლის 10 იანვარს საქართველოს იუსტიციის მინისტრის №886 ბრძანებით დამტკიცდა იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხა, სადაც 2023 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 170000000.22.027.017376

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის №1 ბრძანება

2023 წლის 11 იანვარს მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის №5 ბრძანებით „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 2 მარტის №1 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ა.გ) L – „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში მოყვანილი ცხრილის მიხედვით სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისათვის დადგენილი მოსაკრებლის ოდენობა (ლარებში), ხოლო ქვიშა-ხრეშის შემთხვევაში L – „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით ამ სახეობის წიაღისეულისათვის დადგენილი მოსაკრებლის ოდენობის ნამრავლი 7,5-ზე“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 380050000.76.089.016008

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის პირველი თებერვლიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №168/04 ბრძანება

2023 წლის 18 იანვარს „სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის №168/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გაცემულ თანხმობას უთანაბრდება ფინანსური ინსტიტუტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

№259/04 ბრძანებით დამტკიცებული „დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად მინიჭებული ავტორიზაცია. ავტორიზებული სპეციალიზებული დეპოზიტარი ვალდებულია საინვესტიციო ფონდებთან მიმართებით იმოქმედოს ამ წესის შესაბამისად.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220090000.18.011.016673

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №994 ბრძანება

2023 წლის 23 იანვარს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №13-ით „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით დამტკიცებული წესს 38^1 მუხლის შემდეგ დაემატა 38^2 მუხლი („საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ან საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში დახმარება გადასახადების ამოღებაში).

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017649

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“

2023 წლის 24 იანვარს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ინსტრუქციაში შეტანილ იქნა და დანართ №III-25-ის („დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაცია“) „ა“ დანართს დაემატა თანდართული რედაქციის IV ნაწილი და მუხლი 75 (დღგ-ის დეკლარაციის შევსება) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017650

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებით 2023 წლის 13 იანვარს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და მე-7 მუხლს შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 7^1 მუხლი: (საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელად აღრიცხული პირის საგადასახადო აღრიცხვის გაუქმება).

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017647

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №217/04

2023 წლის 25 იანვარს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №15/04-ით „სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის №217/04 ბრძანებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება: პირველი მუხლის მე-3 პუნქტი (სგს შეიძლება ფუნქციონირებდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით); მე-2 მუხლი (ტერმინთა განმარტებები) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220010020.18.011.016675

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №40/ნ

2023 წლის 31 იანვარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №03/ნ-ით ცვლილება შევიდა „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,ეროვნულ სასწავლო გეგმაში“, კერძოდ, 46-ე მუხლი (სახელმწიფო ენა); 47-ე მუხლი (მათემატიკა) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 430210000.22.022.018258

1. ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

2. ბრძანების პირველი მუხლი ამოქმედდეს 2023 წლის 15 სექტემბრიდან, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების მიზნებისთვის – გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge